# სამახსოვრო გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრისთვის/სპეცჯგუფის წევრებისთვის

**(განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება)**

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 09:00 საათიდან და სრულდება 19:00 საათზე.

- კენჭისყრის დღის 09:00 საათიდან კომისიის თავმჯდომარის მიერ გადმოგეცემათ:
  - ✔ დალუქული გადასატანი საარჩევნო ყუთი;
  - ✔ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია;
  - ✔ საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები;
  - ✔ საარჩევნო ბიულეტენის შესავსები სპეციალური მარკერები;
  - ✔ ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტები (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული ამომრჩევლების რაოდენობის შესაბამისად);
  - ✔ კალმისტრები (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლის მიერ ხელმოწერის დაფიქსირების მიზნებისთვის);
  - ✔ ლითონის სამაგრები (ლითონის სამაგრით მაგრდება სპეციალურ ჩარჩო-კონვერტი, მასში ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების შემდგომ. ასეთი ფორმით თავსდება სპეციალურ ჩარჩო-კონვერტი გადასატან საარჩევნო ყუთში);
  - ✔ მარკირების შესამოწმებელი ულტრაიისფერი ფარანი;
  - ✔ მარკირების სითხე;
  - ✔ გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილის ლუქი (გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილი ილუქება გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის დასრულების შემდგომ).

- ამომრჩეველთან მისვლისას სთხოვეთ მას, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.
- ულტრაიისფერი ფარნით შეამოწმეთ, აქვს თუ არა ამომრჩეველს მარკირება.

**ყურადღება!**

- ✔ თუ მარკირების შესამოწმებელმა სპეციალურმა ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაწერეთ ახსნა-განმარტება (ამომრჩევლის სახელის, გვარის და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში მისი რიგითი ნომრის აღნიშვნით) და ხელი მოაწერეთ თანმხლებ პირებთან ერთად.
- ✔ ამომრჩეველი, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები („ფიზიკური მდგომარეობა“), არ გადის მარკირების შემოწმების პროცედურას.

- შეადარეთ ამომრჩევლის პირადი ნომერი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებულ პირად ნომერს.
- შეამოწმეთ წარდგენილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში აღნიშნული ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემებისა და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული მონაცემების შესაბამისობა.
- ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემების შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში ამომრჩეველს გაუკეთეთ მარკირება.

**ყურადღება!**

- ✔ მარკირების პროცედურის გავლაზე უარის თქმის შემთხვევაში ამომრჩეველს არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება და მას საარჩევნო ბიულეტენი არ გადაეცემა.
- ✔ მარკირება არ გამოიყენება პენიტენციურ დაწესებულებებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში (ავადმყოფების მიმართ).
- ✔ ამომრჩეველი, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები („ფიზიკური მდგომარეობა“), არ გადის მარკირების პროცედურას.

- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ხელმოწერით დაადასტურეთ საარჩევნო ბიულეტენის გაცემა და სთხოვეთ ამომრჩეველს, სიაში თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენის მიღება.

**ყურადღება!**
თუ კენჭისყრის პროცესში გამოვლინდა, რომ ამომრჩეველმა სიაში ხელი მოაწერა სხვა ამომრჩევლის გვარის გასწვრივ არსებულ გრაფაში, ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველს, რომლის გვარის გასწვრივ ფიქსირდება ხელმოწერა, უნდა მიუთითოთ ხელი მოაწეროს იმავე გრაფაში. ამასთან, აღნიშნულის თაობაზე უნდა დაწეროთ ახსნა-განმარტება (ამომრჩევლის სახელის, გვარის და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში მისი რიგითი ნომრის აღნიშვნით).

- ამომრჩეველს გადაეცით საარჩევნო ბიულეტენი, ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტი და განუმარტეთ მისი გამოყენებისა და საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი.

**ყურადღება!**
ამომრჩეველს ამავე საარჩევნო ბიულეტენზე სპეციალური მარკერის გამოყენებით გააფერადებინეთ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე არსებული საცდელი წრე.

- ამომრჩეველს მიუთითეთ, ფარულობის პრინციპის დაცვით შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსების შემდგომ ლითონის სამაგრით დაამაგროს აღნიშნული კონვერტი (ასეთი ფორმით თავსდება სპეციალური ჩარჩო-კონვერტი გადასატან საარჩევნო ყუთში).

**ყურადღება!**
- ✔ თუ ამომრჩეველს არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდე¬ბლად შევსება, მას უფლება აქვს, დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.
- ✔ თუ ამომრჩეველს ან გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებ კომისიის წევრს/სპეცჯგუფის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტი, კომისიის წევრი ვალდებულია ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი/სპეციალური ჩარჩო-კონვერტი ახლით.

- გახსენით გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილი და მიუთითეთ ამომრჩეველს, ხმის მიცემისთვის განკუთვნილ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენი ჩაუშვას მასში.
- კენჭისყრის დასრულების შემდეგ გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილი დალუქეთ იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა.
- კენჭისყრის დღის არაუგვიანეს 20:00 საათისა გადასატანი საარჩევნო ყუთი დააბრუნეთ საარჩევნო უბანზე.

**ყურადღება!**
თუ დაირღვა გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს, შეადგინეთ ახსნა-განმარტება მიზეზის მითითებით და ხელი მოაწერინეთ თანმხლებ პირებს.

- კენჭისყრის შენობაში დაბრუნების შემდეგ კომისიის მდივანს გადაეცით გამოუყენებელი/ გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები, სპეციალური ჩარჩო-კონვერტები და კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**ყურადღება!**
- ✔ კომისიის მდივანი ამოწმებს გადასატანი ყუთის სიაში არსებული ხელმოწერების, გამოუყენებელი ან/ და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის სისწორეს. უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა დაწეროთ ახსნა-განმარტება მიზეზის მითითებით.
- ✔ იმ საარჩევნო უბანში, სადაც გამოყენებულია ერთზე მეტი გადასატანი საარჩევნო ყუთი, სპეცჯგუფის წევრები კენჭისყრის შენობაში რჩებიან გადასატანი საარჩევნო ყუთში არსებული საარჩევნო ბიულეტენების ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარტში დადგენილი წესით მოთავსების პროცედურის დასრულებამდე.